ოქმი N8

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა

კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2019 წლის 29 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. დავით ბერაია
2. მერაბ ფილიპია
3. კობა გოქაძე
4. აკაკი ხურცილავა
5. გია წულაია
6. გოჩა ჯობავა
7. ლაშა ცატავა
8. თემურ გულუა

სხდომას თავმჯდომარეობდა დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 23 ოქტომბრის №03/3746 წერილის განხილვა - „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2019 წლის 23 ოქტომბრის №03/3746 წერილის განხილვა - „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: დ. ბერაია - კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვისა და ამჟამად მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების

კონტროლის ჯგუფის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების შპს „ხობი დასუფთავება და განათება“-სთვის გადაცემის გამო, სათანადო ცვლილებებია განსახორციელებელი მერიისთვის განსაზღვრულ საწვავის ლიმიტებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლითაც:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილისთვის განსაზღვრული დიზელის საწვავი იცვლება ბენზინის საწვავით და საწვავის ლიმიტი მცირდება 50 ლიტრით.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილისთვის განსაზღვრული ბენზინის საწვავის ლიმიტი მცირდება 50 ლიტრით.

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფისთვის განსაზღვრული დიზელის საწვავი იცვლება ბენზინის საწვავით და საწვავის ლიმიტი მცირდება 50 ლიტრით.

განკარგულების პროექტით, 50 ლიტრით მცირდება ასევე, ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის განსაზღვრული საწვავის ლიმიტი და ლიმიტების ნუსხას ემატება 50 ლიტრი დიზელის საწვავის ლიმიტი ხობის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწისთვის.
განკარგულების ამოქმედება გათვალისწინებულია მოძრავი ქონების განკარგვის პროცედურების დასრულების დროისთვის, 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

მომხსენებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკითხის გატანა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად კომისიის დასკვნასთან ერთად.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა.
კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განხილულ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე კომისიის დასკვნასთან ერთად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე დავით ბერაია